## გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომა

# ოქმი#5

21 მაისი 2021 წელი

ქ.ბაღდათი

11.00სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: გია სასამბერიძე

გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ

კომისიის წევრები:

შადიმან გორგოძე
ზაზა ზივზივაძე
დიომიდე კიკნაველიძე
გაბრიელ ღიბრაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის წარმომადგენლები: ნაზიმი კბილაშვილი, თამთა ჯიხვაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ბუნებრივი რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: დავით მშვილდაძე, ამავე სამსახურის წარმომადგენელი: მაია გოგნაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ბუნებრივი რესურსების მართვის განყოფილების ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ

მომხს.დავით მშვილდაძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხები

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1 კომისიის თავმჯდომარემ გია სახამბერიძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ბუნებრივი რესურსების მართვის განყოფილების ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ბუნებრივი რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: დავით მშვილდაძემ

კომისიის თავმჯდომარე: გია სახამბერიძემ კითხვით მიმართა დავით მშვილდაძეს ხვნა-თესვის სამუშაოების პროცესი, როგორ მიმდინარეობს

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ბუნებრივი რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: დავით მშვილდაძემ უპასუხა გია სახამბერიძეს, რომ ამჟამად დამუშავებულია 1481 ჰა და დათესილია 1241ჰა

კომისიის წევრი: ზაზა ზივზივაძემ განაცხადა, რომ შედარებით წლების მანძილზე დაუხნავ ფართობზე ბელარუსის ტიპის ტრაქტორებს უჭირთ მუშაობა და უკვე იძულებული ვართ ჩავრთოთ მიწის დამუშავების პროცესში ცეფებიანი ტრაქტორი რაც გადაგვყავს სპეციალური გადამტანი აქტო მოწყობილების მქონე ტექნიკის მეშვეობით რადგან გზებზე ცეფებიანი ტრანსპორტის ტრაქტორით გადაადგილება დაუშვებელია

კომისიის თავმჯდომარე: გია სახამბერიძემ კითხვით მიმართა დავით მშვილდაძეს ეს მონაცემები ხვნა-თესვასთან დაკავშირებით სოფლის წარმომადგენლებმა გადმოგვცეს

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ბუნებრივი რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: დავით მშვილდაძემ უპასუხა გია სახამბერიძეს, რომ ეს მონაცემები ხვნა-თესვასთან დაკავშირებით დიახ გადმოგვცა სოფლის წარმომადგენლებმა
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ბუნებრივი რესურსების მართვის განყოფილების წარმომადგენელი: მაია გოგნაძე განაცხადა, რომ შეიძლება სკვერები დავათვალიეროთ თუ რა მდგომარეობა არის მცენარეები თუ შესაწამლია მოვუაროთ და შევწამლოთ

გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიამ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ბუნებრივი რესურსების მართვის განყოფილების ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ კომისიამ მიიღო ცნობის სახით წარმოდგენილი საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროსა დასაკრებულოს სხდომაზე

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით საკითხი ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: გია სახამბერიძე